აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 86-ე მუხლის „გ"ქვეპუნქტის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაიწყოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიისა და საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ 2019 წლის 19 აგვისტოს საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვის პროცედურა (კანონის პროექტი და განმარტებითი ბარათი თან ერთვის).

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი გადაეცეს უმაღლესი საბჭოს კომისიებს, ფრაქციებს, აფხაზეთის მთავრობას, აპარატის იურიდიული, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის უმაღლესი საბჭოს კომისიებში, ფრაქციებში, აპარატის იურიდიული, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტში განხილვა, შესაბამისი დასკვნების მომზადება და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისთვის გადაცემა განხორციელდეს რეგლამენტით დადგენილი წესით.

4. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" აფხაზეთის კონსტიტუციური კანონის პროექტი გატანილ იქნეს საერთო სახალხო განხილვისათვის.

5. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის უმაღლეს საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღია 2019 წლის 24 სექტემბერი.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია

ქ. თბილისი

22.08.2019წ.
N82-3